

ნიწო ყულოშვილი

პირიტი

ყოფილი საბჭოთა კავშირის ხელისუფლების პოლიტიკამ კავკასიაში გაამწვა ერთა შორის ურთიერთობა და დასაბამი მისცა კონფლიქტური კერების წარმოშობას. ასეთი სიტუაციები შეინიშნება ძირითადად, სახელმწიფოს სასაზღვრო ზოლში. იქ, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ არაღმინანტი ეთნოსის წარმომადგენლები – ეროვნული უმცირესობა, რომელიც ეროვნული შემადგენლობით ენათესავება ამ გერიგორიის მოსაზღვრე სახელმწიფოს მოსახლეობას.

ეთნიკურ – გერიგორიულმა წინააღმდეგობებმა და კონფლიქტებმა, რომლებიც ამიერკავკასიაში არსებობდა მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში და რომელთაგან ზოგიერთი ბოლშევიკებმა „დააკონსერვეს“, ზოგიერთი კი, პირიქით, კიდე უფრო გაამწვავეს, რთული ფორმით წამოყვეს თავი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მის გერიგორიაზე რამდენიმე ცხელი წერტილი წარმოიშვა. ორი მათგანი (სამაჩხაბლო და აფხაზეთი) მალე შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა. რუსეთი ინტერესდება კავკასიის ზოგიერთი პროვინციით, რაც აძლევს მოდიფიცირებული იმპერიის შექმნის შესაძლებლობას. ამავე დროს, „სუსტ“ ეთნოუმცირესობებს, (როგორსაც ე.წ. „ინგილოები“ წარმოადგენენ), არ ყერდნობა.

საქართველოს ისტორიული კუთხე – ჰერეთი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერბაიჯანის რესპუბლიკის გერიგორიულ შემადგენლობაში აღმოჩნდა.

1921 წელს ქართველი მოღვაწეები **პავლე ინგოროყვა** და ჰერეთის ღვიძლი შვილი, **გიორგი გამხარაშვილი** შეხვდნენ მაშინდელი რევკომის თავმჯდომარეს – **სერგო ორჯონიკიძეს**.

მოთხოვნა ასეთი იყო: ჰერეთის ისტორიულ საზღვრებში დაბრუნება!

ორჯონიკიძის პასუხი: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დამყარებით დამკვიდრდება საერთო საზღვრები, ენა და ეროვნება...

იურიდიული საფუძველით კი: 1921 წლის 5 ივლისს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოსა და ამერბაიჯანის სს რესპუბლიკების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელმაც განიხილა სასაზღვრო ხაზის საკითხი. ყარაიაზისა და ელდარის ველის გარდა, განიხილეს გაქათალას ოლქის საკითხიც. დადგენილების მიხედვით, საქართველოს სსრ უარს ამბობს ყველა პრეტენზიაზე გაქათალას ოლქში.

შესაბამის ღეკლარაციას ხელს აწერს საქართველოსა და ამერბაიჯანის სსრ-ის რეკომთა თავმჯდომარეები: **ფილიპე მახარაძე** და **ნარიმანოვი**.

აღნიშნული საკითხი კვლავ განიხილეს (1921 წლის 8 ნოემბერი ქ. თბილისი) და 5 ივლისის გადაწყვეტილება ძალაში დაგოვეს.

ისტორიული ჰერეთის (ღღეს უკვე საინგილო) გერიგორიაზე ამერბაიჯანის სახელმწიფო სტაგისტიკის კომიტეტის 1999 წლის მონაცემებით, ქ. ბაქოში და ბელაქანის, ზაქათალასა და კახის რაიონებში ცხოვრობდა 14 877 ქართველი. ამჟამად ეს რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირებულია. აღნიშნული გენდენცია ეთნიკური ქართველების სოციალურმა მდგომარეობამ, რომელიც განსაზღვრავს მათ შრომით მიგრაციას საზღვარგარეთის ქვეყნებში, უპირველესად კი, საქართველოში, გამოკვეთა. მეორე მხრივ, ამერბაიჯანის სტაგისტიკის კომიტეტის ყველა მონაცემი, ამ საკითხთან მიმართებაში, ეჭვს ბადებს, რადგან არ შეიცავს საინგილოს გამაჰმადიანებული ჰერების რაოდენობრივ მაჩვენებელს, (დაახლოებით 30 000 ადამიანი), შესაბამისად, ქართველების საერთო რაოდენობა ქვეყნის მოსახლეობის 0,2 % – ს წარმოადგენს, რითაც ჯგუფი ეთნიკური უმცირესობის აღმნიშნულ მდგარს ვერ ლახავს... ანუ ამერბაიჯანს ეთნიკური უმცირესობა – ქართველი არ ჰყავს და მათი უფლებების დაცვას ვერაზინ დაავალებს ქვეყნის ხელისუფალთ...

ღღევანდელი საინგილო საქართველო – ამერბაიჯანის სასაზღვრო სამ რაიონს – ბელაქანი, ზაქათალა, კახი – მოიცავს. ისტორიული ჰერეთი შექის (იგივე ნუხა) და ელისეს მაღალმთიან რეგიონსაც სწვდებოდა.

ჰერები ისეთივე ქართველები არიან, როგორც კახელი, ქართლელი, მეგრელი და ა.შ. ისტორიულ პროცესებში ჰერებს „ინგილო“ შეარქვეს.

ქართველი მოღვაწე, ჰერეთის წარმომადგენელი – **მოსე ჯანაშვილი** არ ეთანხმება გავრცელებულ მოსაზრებას, რომ „ინგილო“ ხელახლა მოქცეულს ნიშნავს და იგი მიაჩნია ინგირად ე.ი. ეგრისელად.

ისტორიკოს **მ. ღუმბაძის** ვერსიით, „ინგილო“ ეწოდა ლეკთა დამორჩილებულ – დაბეგრულ ქართველ გლეხს, ამიგომ ის სოციალური შინაარსის გერმინია, ვიდრე ეთნიკური

აღბათ, მეღმეგია საუბარი გეოგრაფიულ სახელთა ცვლილებებზე, თუმცა ამ კუთხის ისტორიის მცოდნე აწმყოში წარსულს იოლად მოიძიებს... აღმალუში ვაშლოვანს, სადაც იავნანამ სასწაულები მოახდინა... აღიბეგლოში – ქათმისხევეს, ალათემურში – დიდ ბინას, ყარამეშაში – პაგარა ბინას ამოიკითხავს...

ასიმილაციის ტენდენციები დღესაც აშკარად ვლინდება... კერძოდ, ბელაქანი – მაქათალას ქართველებმა, რომელთაც 1959 წელს ჩამოართვეს პასპორტები და ხუთი თვის შემდეგ დაუბრუნეს ამერბაიჯანული გვარებით, გამოთქვეს სურვილი, აღედგინათ მამა-პაპისეული გვარი.

2002 წელს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **ნინო ბურჯანაძე** აღნიშნულ საკითხზე უფროს **ალიევს** ესაუბრა, უკანასკნელმა პირად კონკრეტულზე აიყვანა პრობლემა, გასცა განკარგულებები, თუმცა ადგილობრივთა მცდელობა მაინც უშედეგო აღმოჩნდა. ოფიციალური უწყებებში აბორიგენ ქართველებს განუმარტეს, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას დაედევნა ე.წ. „ციტკულარული წერილი“, რომელმაც საქმე საწყის მდგომარეობას დაუბრუნა. ამასთან, პრობლემას ქვეყნების სოციალური მდგომარეობაც განსაზღვრავს, რის გამოც არქივებში წინაპართა გვარ – სახელის მოძიება იოლი არ არის. ყოველივეს ისიც ერთვის, რომ რეალური ქმედებისათვის ამ საქმის ინიციატორთა, გვარ – სახელის დაბრუნების მომხრეთა მტკიცე გადაწყვეტილებაა საჭირო, თორემ... უკანასკნელი შლაგბაუმის ჭრიალის გარდა, სულის გამყოფი ბაგირის გაღმა-გამოღმა დარჩენილი ჰერის მოხმობაც, რომელსაც აქვთ თემურს ეძახიან, იქით კი – თემრაზედ უხმობენ, ყურს გვჭრის...

რელიგიურ დაპირისპირებას ვხვდებით არა მარტო ამერბაიჯანელებთან მიმართებაში, არამედ თვით ქართველებში. ბელაქანი – მაქათალას რაიონში რელიგიით მაჰმადიანი ქართველები ცხოვრობენ, ხოლო კახის რაიონში ქრისტიანი – მართლმადიდებელი ქართველობა.

ინგილოურს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული ენის დიალექტთა შორის. ინგილოური ორ კილოკავად იყოფა: – კაკურად და ალიაბადურად. კახის რაიონის ქართველობა კაკურ კილოკავზე საუბრობს, ხოლო ბელაქანი – მაქათალას მცხოვრებნი – ალიაბადურად.

გემოთ ჩამოთვლილი განსხვავებების გამო, კაკელი ვერ ჰგუობს „ინგილოს“ და თავს ჰერად მიიჩნევს.

1989 წლის საერთო – საკავშირო მოსახლეობის აღწერისას, ბელაქანისა და მაქათალას გამაჰმადიანებულ ქართველთა 95% ეთნიკურ ჯგუფ ინგილოდ ჩაეწერა (ქართველებადაც ჩაეწერნენ, მაგრამ არა მასობრივად). სამწუხაროდ, ამ წამოწყებას დღესაც ჰყავს მომხრენი, ორ უკიდურესობას შორის საუკეთესო გამო-სავლად, ადგილობრივი ქართველის „ინგილოდ“ ჩაწერა რომ მიაჩნია. რადგან „ინგილო“ სოციალურ ტერმინადაა მიჩნეული მკვლევარებისაგან, ის არ შეიძლება ეროვნების მიმანიშნებელი იყოს.

ხელოვნური „თვითიდენტიფიკაცია“ კი, მხოლოდ ახალ პრობლემებს დაუღებს სათავეს.

ქვეყნის დომინანტ მოსახლეობასთან რელიგიური ნიშნით დაპირისპირება ვლინდება ქურმუხის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის დღეობაზე – ქურმუხობას, ყოველ გიორგობას, როცა ალბანური ფესვების მადიებელი ამერბაიჯანელები მოქალაქეობრივი ვალის მოსახდელად ქრისტიანებთან ერთად ამოდიან გაძარში. აღსანიშნავია, რომ ძეგლის აღდგენა – რესტავრაცია გასულ წელს დასრულდა. სხვათა შორის, ამერბაიჯანის ძეგლთა დაცვის კომიტეტი, ადგილობრივთა დაინებული მოთხოვნით, საქართველოს საპატრიარქოს მიერ დამტკიცებული პროექტით ხელმძღვანელობდა.

სამწუხაროდ, რამდენიმე ათეული წელია, ზოგიერთი ამერბაიჯანელი მეცნიერი ქვეყნის დასავლეთით მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს ისტორიული ალბანების შთამომავლებად აცხადებს... ქართველთა ხელით ნაგებ მართლმადიდებლურ ძეგლებს კი, ალბანების ქრისტიანობას უხსენებს. მართალია, პოსტსაბჭოურ კავკასიაში საკუთრების განსაზღვრის საკითხი გაბაულებელ საქმედ იქცა და საბჭოთა იმპერიის დამგეგმავთა პოლიტიკა რეგიონის კონფლიქტებით დასუსტებას ითვალისწინებდა, მაგრამ დავეების ეთნიკურ აქცენტზე გათვლილ სტრატეგიას კულტურის, აღმსარებლობის გაყალბების ტაქტიკა თუ მოჰყვებოდა ვერავის წარმოედგინა.

ჰერეთის ქართული მართლმადიდებლური ძეგლების შესწავლა რამდენიმე ქართველი მეცნიერის – **მოსე ჯანაშვილის, ილია ადამიას, გიორგი მარჯანიშვილის** სახელს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ კუთხეში მიმოხეული უამრავი რელიგიური ძეგლი ან ნასაყდრალი საქართველოს საპატრიარქოს არ ექვემდებარება (გარდა ერთისა, კახის წმ. გიორგის სახელობის მამათა მოქმედი მონასტერი), განუსაზღვრელია ამ უწყების როლი ჰერეთის მართლმადიდებლობის საქმეში. ჰერეთის ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშების თანამედროვე ფიქსაცია არ მომხდარა, რაც არსებულ ფონზე, ვფიქრობთ, განგაშის საფუძველი უნდა გახდეს. სახელმწიფოთა აღმასრულებელ უწყებებში ეს საკითხი დღის წესრიგში არ ღვას და, როგორც ჩანს, არც არანაირი პერსპექტივა უჩანს. ამერბაიჯანის მიერ წარმოებულ პოლიტიკას ათვალსაჩინოებს ახლახან ქართული კულტურის ძეგლებზე გაჩენილი აბრები. ყველა ძეგლს, XVIII-XIX საუკუნეების გაძრებსაც კი, აბრის შემდგენლები I-V საუკუნეებით ათარიღებენ. ცხადია ერთი მიზნით, V ს-ის II ნახევარში ვახტანგ გორგასალმა საბოლოოდ შეიერთა დასავლეთ ალბანეთის იბერიასთან მომიჯნავე სადავო გერიტორია, ისტო-

რიული ჰერეთი. ქართველი მეცნიერები კოლეგების მხრივ მთელი ხუთი საუკუნით დათარიღებას, უბრალოდ, არაპროფესიონალურს უწოდებენ. ამერბაიჯანელ ვაიმეცნიერებს ერთი მნიშვნელოვანი დეტალი გამორჩენიათ – კავკასიაში ქრისტიანობის დამკვიდრება IV საუკუნიდან იწყება და მანამდე ქრისტიანული ძეგლის არსებობა წარმოუდგენელია, მით უმეტეს, იმ ტიპისა, რაც ჰერეთის გერიტორიაზე გვხვდება და მათი კომპლექსია ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. თვალსაჩინოა ისიც, რომ გაყალბების პოლიტიკა კავკასიის მეგობარ ქვეყნებს საყდრამდე ვერ მიგვიყვანს.

კავკასიის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს, **შეიხულ-ისლამ-ალახშუქურ ფაშაზადეს** მიწვევით, მიმდინარე წლის ივნისის თვეში ბაქოში **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II** იმყოფებოდა. იგი შეხვდა ამერბაიჯანის პრეზიდენტს **ილხამ ალიევისა** და მილი მეჯლისის სპიკერს **მურთუზ ალესკიროვს**. პრეზიდენტმა პატრიარქს დიდების ჯილდო გადასცა; უწმიდესი და უნეტარესი ეწვია **ჰეიდარ ალიევის** ფონდს, შეხვედრები გამართა რელიგიური კონფესიების მეთაურებთან, ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებთან.

ილია II მოინახულა კახის რაიონში არსებული მოქმედი მამათა მონასტერი, ქურუმის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია; უწმიდესმა საპატრიარქოდან ჰერეთში მივლენილ მღვდელს, **მამა იოანე (აბასაშვილს)**, ილუმენის წოდება მიანიჭა; ასევე, შეხვდა ადგილობრივ მრევლს და მათ პრობლემებსაც გაეცნო.

იმედს ვიგოვებთ, ადგილობრივთა პრობლემების გადაწყვეტაში აღნიშნული ვიზიტი უკანასკნელთა სასარგებლოდ იმოქმედებს და ქართველთა სულიერ სფეროში წარმოქმნილ ხელოვნურ დავას საბოლოოდ დაესმება წერტილი; რომ ქართველი მეცნიერები დასაბუთებულ პასუხს გასცემენ ამერბაიჯანელ კოლეგებს...

ამერბაიჯანის რესპუბლიკის გერიტორიაზე არსებობს 12 სკოლა, სადაც ქართულ ენაზე მიმდინარეობს სწავლება: ბელაქანი – 1 (შერეული), ბაქათალა – 4 (ოთხივე შერეული), კახის რაიონი – 7 (ერთი შერეული და ერთი ცხრაკლასიანი).

საინგილოს ქართულ სკოლებში საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ბუნების სწავლება 2001 წლის ოქტომბრიდან ფაკულტატიური საათების ხარჯზეც კი აიკრძალა, რადგან ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორია შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემებს და მშობლიური ისტორიის სწავლება თითოეულისათვის არამიზანშეწონილია.

ორივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შერეული კომისია დიდი ხანია არსებობს, სწორედ

მას ევალება განათლების საკითხის მოგვარება, ახალი სახელმძღვანელოს შემუშავება, სადაც მშობლიური და “მამობილი“ ქვეყნების ინტერესები არ იკვეთება. საქართველოს განათლების სამინისტროში მისაღებად, საინგილოს ქართული და ქვემო ქართლის ამერბაიჯანული სკოლებისათვის, ისტორიის სახელმძღვანელოს ამგვარი ფორმატი ესახებათ: გვერდიგვერდ ერთი ეპოქის ორივე ქვეყნის ისტორია დაიბეჭდოს. კავკასიაში „კავკასიის ისტორიის“ სახელმძღვანელოს შემუშავებაზეც ფიქრობენ, რომელიც ძირითადად, ეთნიკური პრობლემების მქონე რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჯერ გამოიცდება, შემდეგ, როგორც ვარაუდობენ, დაინერგება. ჩვენი ამრით, „კავკასიის ისტორია“, მიუხედავად კეთილი მიზნისა – ეთნოკონფლიქტების განეიტრალება, ვერ ასცდება გაყალბების გზას... საკითხის მოგვარებამდე საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ღონისძიება, რომელიც გასული წლის ივლისის თვეში განხორციელდა, გემოთ მითითებული, საჭოჭმანო სახელმძღვანელოების გარეშე ჩატარდა.

აღნიშნული პრობლემების გამო რთულდება უმაღლესი განათლების მიღების საკითხი საინგილოს კონკიგენცისათვის. გარკვეული შეღავათების, (უფრო ადრე მისაღებ, ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე – მოსამზადებელ განყოფილებაზე), მიუხედავად, ჰერი სტუდენტები თსუ-ის დამთავრების შემდეგ დაუსაქმებლნი არიან. შესაბამისად, როგორც ვთქვით, იძულებით შრომით მიგრაციაში იმყოფებიან მშობლიურ საქართველოში თუ საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში. არსებობდა ინიციატივა ამერბაიჯანის უმაღლესი სასწავლებლის ფილიალის გაქათალას რაიონში გახსნისა, თუმცა ადგილობრივებმა ეს წამოწყება არარეალურად მიიჩნიეს და საფრთხეც კი დაინახეს მასში.

საქართველოს განათლების სამინისტრო საინგილოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ძირეულ რეფორმებს გეგმავს. ეს კი, კვალიფიცირებული კადრების მივლინების წახალისებას გულისხმობს, რაც ხელს შეუწყობს განათლების ღონის ამალვებას, უკანასკნელი, თავის მხრივ, შედეგათებს, რომლებიც „დათვურ სამსახურად“ კარგა ხანია მონათლა, უფუნქციოს გახდის. მაგალითად, გასულ წელს სამინისტროდან ორგმის გაიგზავნენ მასწავლებლები (მწვრთნელები): **ლალი შაიშმელაშვილი, ნინო ბალანჩივაძე, ლანა სალაყაია, ლალი მწარიაშვილი, ქეთი ბოგკოველი**, რომელთაც პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგილი სიახლეებისა და გაკვეთილის წაყვანის ზოგადი მეთოდების შესახებ ცოდნა უნდა გადაეცათ. სხვათა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, მათ გაქათალას რაიონში პრობლემები შეხვდათ; ქართულმა მხარემ

საინგილოს სკოლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა საკუთარ თავზე აიღო; ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ამერბაიჯანელებმა საკუთარი სასწავლო პროგრამების მიხედვით ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების მომზადება უკვე დაიწყეს, წიგნი – გარესამყარო და მათემატიკა I კლასი, ქართული გამომცემლობა „ინტელექტის“ დახმარებით დაიბეჭდა და სხვ.

წლეულს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, **ალექსანდრე ლომაიას** გადაწყვეტილებით, საინგილოს აბიგურიენტებმა ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიიღეს მონაწილეობა. შესაბამისად, კონტიგენტისათვის გათვალისწინებულმა აღრინდელმა შეღავათებმა სახე იცვალა... გაირკვა, რომ სახელმწიფო გრანტის მოპოვებისათვის არასაკმარისი ქულების მიღების შემთხვევაში შვიდი კატეგორიის აბიგურიენტისათვის, მათ შორის, ამერბაიჯანის (საინგილოს) ქართველობისათვის, (გათვალისწინებულია აგრეთვე: კოდორის ხეობის, ცხინვალის რეგიონის (კონფლიქტის ზონა), ირანის (ფერეიდანი), თურქეთისა და რუსეთის ქართველები), არსებობს შეღავათი, სამინისტროს წარმომადგენლები პროპორციული წესით დაადგენენ კვოტას და გასცემენ სახელმწიფო გრანტს. ცხადია, სამინისტრო განათლების სისტემაში კორუფციის აღმოსაფხვრელ მექანიზმად განიხილავს ერთიან ეროვნულ გამოცდებს, თუმცა საეჭვოა საინგილოს კონტიგენტის კონკურენტისათვის მზაობის საკითხი. ქართული მხარის რეფორმისტული წამოწყებები იმედის მომცემია, მაგრამ შედეგების შეჯამება, ალბათ, ნაადრევია. სამოგალოების ერთმა ნაწილმა ითხოვა მოსამზადებელი განყოფილების შენარჩუნება მთელი კონტიგენტისათვის, რათა ახალგაზრდები მომზადებულიყვნენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გასასვლელად, მაგრამ ასე არ მოხდა... ამიგომაც წლეულს რამდენიმე ერთეულ ჩარიცხულსაც კი ვერ ითვლის კუთხე. საკითხი ინდივიდუალური დონის არ არის, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას საინგილოს მომავალი...

ერთადერთი, რაც ადგილობრივ ქართველებს რჩებათ, კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებაა.

საინგილოში ოფიციალურად არსებობს კახის რაიონის კულტურის ცენტრი, რომელიც უფუნქციოა.

ქართული თეატრი, აღიარების მიუხედავად, მისი სულისჩამდგმელის, **ანზორ დოლენჯაშვილის** „დათხოვნის“ შემდეგ ყოფნა-არყოფნის ბღვარზე აღმოჩნდა.

წლეულს, იანერის თვეში ამერბაიჯანის (საინგილოს) კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოს ი. ჭაეჭავაძის სახელობის ქართულ სახალხო თეატრს სახელმწიფო სტატუსი საქართველოში თბილისის

ამერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრის დაარსების პარალელურად მიენიჭა. საზოგადოების ამრი თეატრის აღიარებასთან დაკავშირებით ერთგვაროვანია – მოყვარული მსახიობებით შემდგარ საინგილოს ქართულ სახალხო თეატრს, სწორედ, პროფესიონალთა ღეფიცის გამო არ შეიძლება სახელმწიფო სტატუსი მიენიჭოს და სხვა ქვეყანაში ქართული კულტურის წარმოჩენა დაევალოს.

სახელმწიფო სტატუსის მინიჭების შემდეგ, ადგილობრივმა კულტურის განყოფილების წარმომადგენლებმა კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, კადრების შერჩევა დაიწყეს... დასის წევრთა სურვილის გაუთვალისწინებლად, ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაინიშნენ პიროვნებები, რომელთაც მმართველი პოსტები სახალხო თეატრშიც ეკავათ. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელთა დაუფასდათ მრავალწლიანი „მოღვაწეობა“, რადგან ყველაფერთან ერთად, თეატრის დაკომპლექტებაც მიანდეს. აღამიანები, რომლებიც თეატრის დაარსებიდან მოყოლებული ამ კულტურული კერის ისტორიას ჰქმნიდნენ, აბსოლუტურად იგნორირებულნი აღმოჩნდნენ. პროტესტის ნიშნად მსახიობებმა მიმდინარე წლის ივლისის თვეში თეატრის კარები აჭედეს, გამართეს აქციები... თხოვნა ასეთი იყო: საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა ამერბაიჯანულ კოლეგებთან ერთად ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ქართული კულტურის კერებს; თეატრის ასამოქმედებლად კვალიფიციური კადრი გამოიგზავნოს თბილისიდან; მომზადდეს რამდენიმე კაციანი სპეციალისტთა ჯგუფი.

კუთხისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე თეატრის პრობლემებზე თეატრალებმა ქართული მედიის საშუალებებით საქართველოს პრეზიდენტს – **მიხეილ სააკაშვილს** წერილობით მიმართეს; წერილს ხელს აწერდნენ დასის წევრები, სულ 14 კაცი. აღსანიშნავია, რომ მათ სურვილს სრულიად იმიარებდა საინგილოს ქართველობა. მდგომარეობის გართულების თავიდან ასაცილებლად, რისი რეალური საფრთხეც არსებობდა, მსახიობებმა შეწყვიტეს აქციები... სამართლის საძებრად თბილისში ჩამოსულმა დასის წევრებმა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მიიღეს დაპირება, რომ პრობლემა დროებით, სანამ მემობელ სახელმწიფოში წინასაარჩევნო ვითარებაა და საკითხით შესაძლოა ოპოზიციურმა პარტიებმა ისარგებლონ, გაიყინება. რომ სექტემბრის თვეში საკითხის დეტალურად შესასწავლად ჩავიდოდნენ, სამწუხაროდ, მსახიობები ამაოდ ელოდნენ...

გრადიციების მქონე ქართული თეატრის ბედისადმი გულგრილი მიდგომა შესაძლოა კუთხის დამღუპველ ფაქტორადაც იქცეს.

აღშოთებული ჰერი მსახიობების გულისტკივილი თეატრალური ინტრიგების შემცველი სრულიადაც არ იყო, მას ორი ქვეყნის ურთიერთობის ასახვაც შეეძლო. საბელნიეროდ, თეატრის ავანსცენაზე გათამაშებულ ქართულ – ამერბაიჯანულ ურთიერთობებს დამნახავიც ბევრი ჰყავს და შემფასებელიც.

კუთხის ერთადერთი, ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის ანსამბლი „ლაზარე“ ჯერ-ჯერობით ენთუზიაზმით, მაგრამ მაინც „მრავალკამიერით“ თრგუნავს მართლმადიდებელი ჰერისათვის არაბუნებრივ გარემოს... შემოქმედებითი ჯგუფის არსებობას ოფიციალურად არცერთი სახელმწიფო არ აღიარებს, შესაბამისად, ანსამბლი უამრავ პრობლემას აწყდება: „ლაზარეს“ სარეპერტუარო პაკეტის სიმწირე, რაც თუნდაც ერთი ქართველი ლოგბარის საინგილოში გარკვეული დროით მივლინებით შეიძლება მოგვარდეს; ადგილობრივი ფოლკლორის ნიმუშების მოძიება – შესწავლის საკითხი; სამომავლოდ ანსამბლის შესავსებად ადგილობრივი კადრების მოძიება, პროფესიონალური აღზრდა; ქართული ხალხური საკრავების საჭიროება; ფინანსური პრობლემების აღმოსაფხვრელად გარკვეული გირაჟით „ლაზარეს“ აუდიო კასეტის გამოშვება ურიგო არ იქნებოდა; კუთხეში (კახის, აგრეთვე, ბელაქანი – ზაქათალას რაიონების ქართულ სოფლებში) გასვლითი ღონისძიებების ორგანიზება დამოკიდებულია ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების ნებართვაზე, გრანსპორტირებისა და სხვა ტექნიკური პრობლემების მოგვარებაზე; სახელმწიფოებრივი შეთანხმების საფუძველზე „ლაზარეს“ ორივე ქვეყნის ფოლკლორულ ფესტივალებში ჩართვა, მასთან დაკავშირებული საორგანიზაციო – იურიდიულ – ფინანსური პრობლემები; მისასალმებელი იქნებოდა, „ლაზარემ“, როგორც საინგილოს ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის ანსამბლმა, იურიდიული სტატუსით ისარგებლოს; ამ პრობლემების მოგვარება მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება ორი მეგობარი ქვეყნის – ამერბაიჯანისა და საქართველოს მომავალს.

„ლაზარე“ კახის წმ. გიორგის სახელობის მოქმედი ეკლესიის მგალობელთა გუნდს და საინგილოს „ქართულ ფოლკლორულ ჯგუფსაც“ წარმოადგენს. უკანასკნელის მისია ფართოა: ქართული სიმღერებისა და საგალობლების მოსახლეობისათვის გაცნობა, კუთხის საეკლესიო, საისტორიო მაგიანეს შექმნა, არქეოლოგიური ექსპონატებისა თუ წერილობითი წყაროების მოძიება – შესწავლა, ეთნოგრაფიული კუთხის მოწყობა, რეგიონში ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების აღორძინება და სხვ. სამწუხაროდ, ხშირად

საკუთარ თავზე დაკისრებულ ამ ეროვნულ მისიას მხარდაჭერის გარეშე განხორციელება არ უწერია.

ქართველმა ქველმოქმედებმა ითავეს „ლაზარეს“ წევრთა ეროვნულ სამოსში გამოწყობა.

ქართველი ქველმოქმედები ფოლკლორული ფესტივალების ორგანიზატორებს ხშირად ახსენებენ „ლაზარეს“ და მისი ღონისძიებებში ჩართვა მხოლოდ ამის შემდეგ ხერხდება.

სამწუხაროდ, საინგილოში არსებობს საკითხები, რომელთა ინდივიდუალურ ღონებზე მოგვარებაც შეუძლებელია... და შესაბამისი პირებისაგან გულზე მჯიღების ცემით არ უნდა შემოიფარგლოს...

დემოკრატიულ სახელმწიფოზე პრეცედენტის მქონე ამერბაიჯანში მცხოვრები ქართველობა ქვეყნის ხელისუფალთაგან, როგორც ეროვნული უმცირესობა, უგულვებელყოფილია.

საინგილოს აბორიგენი ქართველობა და ქვემო ქართლში ჩასახლებული ამერბაიჯანელები კავკასიის ორი მეგობარი სახელმწიფოსათვის დამბალანსებელ ძალად რჩება, თითოეულის მდგომარეობა კი, ორივე ქვეყნაში არსებული დემოკრატიის ხარისხით განისაზღვრება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ნ. ყულოშვილი; საინგილოს საკითხები 2002-2003 წლების პრესაში (სამაგისტრო ნაშრომი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, პრესის თეორიისა და პრაქტიკის კათედრა, ხელმძღვანელი: პროფ. ნოდარ გაბიძე.); თბ., 2004;

N. Quloshvili

Hereti

The politics of the former Soviet government had an adverse effect on interethnic relations in the Caucasus, giving rise to centers of conflict. Such situations are especially prevalent in the areas surrounding national borders.

The province of Saingilo comprises three regions of contemporary Azerbaijan: Belakan, Zakatala and Kakhi. The historical district of Hereti reached as far as the mountains regions of Sheki (also called Nukha) and Elise. The population of Hereti was Georgian, although as a consequence of historical processes they came to be known as “Ingilos”.

Unfortunately, in Azerbaijan, despite its pretensions to being a democratic state, the Georgian population, as an ethnic minority, is not recognized.